



ინფორმირებული საზოგადოება

ააიპ ინფორმირებული საზოგადოება

პროექტი

„საპრეზიდენტო არჩევნები 2018“



საანგარიშო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და

სწავლების ცენტრი



ინფორმირებული საზოგადოება

ზოგადი ინფორმაცია

- სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ 2018 წლის 16 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა ააიპ ინფორმირებული საზოგადოების პროექტი: „საპრეზიდენტო არჩევნები 2018.“
- მხარეებს შორის გაფორმდა გრანტის გამოყოფის შესახებ ხელშეკრულება და ააიპ ინფორმირებული საზოგადოება წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად შეუდგა პროექტის განხორციელებას.



ინფორმირებული საზოგადოება

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია ამომრჩეველთა ინფორმირება 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის. პროექტის მიზანს წარმოადგენს ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება და არჩევნებში ამომრჩევლის გააქტიურების ხელშეწყობა, ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდა



ინფორმირებული საზოგადოება

სამიზნე ჯგუფი

საგრანტო პროექტის ფარგლებში სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის სამი ოლქის - ონი, ამბროლაური და ცაგერის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩეველი



ინფორმირებული საზოგადოება

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები

- განხორციელდა პროექტის შესაბამისად დაგეგმილი შესყიდვები, საკანცელარიო საქონელი, კომპიუტერული და სხვა სახის ტექნიკური საშუალებები და ა.შ
- გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება თანამშრომლებთან.
- დამუშავდა პროექტის მასალები.
- დაიბეჭდა და დამზადდა ბრენდირებული ბლოკნოტები და კალმები, ასევე დამზადდა ბრენდირებული ბანერი, საინფორმაციო ბუკლეტები, კალენდრები.
- გაფორმდა ავტომობილის იჯარის ხელშეკრულება.



ინფორმირებული საზოგადოება

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები

ყველა საარჩევნო ოლქის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, გაიმართა იმიტირებული კენჭისყრის პროცესი, საიდანაც გარშემო პერიმეტრზე, ბრენდირებულ მაისურებსა და კეპებში გამოწყობილი მოხალისე ახალგაზრდებმა დაარიგეს ფლაერები და გასწიეს აგიტაცია, კონსულტაცია ამომრჩევლებში პრეზიდენტის არჩევნების მნიშვნელობის შესახებ. დაინტერესებულ ამომრჩევლებს გაეწიათ კონსულტაცია კენჭისყრაში (არჩევნებს) მონაწილეობის თაობაზე.





ინფორმირებული საზოგადოება

ნაბეჭდი მასალა, აუდიო-ვიდეო-ფოტო ან სხვა მასალები, რომლებიც შეიქმნა პროექტის განხორციელების შედეგად





ინფორმირებული საზოგადოება

გამოწვევები და შედეგები

- პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა ინფორმირებული ამომრჩევლის რაოდენობა და ჩართულობა საარჩევნო პროცესებში.
- მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია საქართველო პრეზიდენტის არჩევნების მნიშვნელობაზე და საარჩევნო პროცედურების თაობაზე. პროექტის ბენეფიციარები იყვნენ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის 3 ოლქის ონის, ამბროლაურის, ცაგერის მოსახლეობა.
- პროექტით განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ამომრჩევლების ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო პროცესებით დაინტერესების კუთხით, საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების მნიშვნელობას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ამომრჩევლეთა აქტივობაზე საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს.





ინფორმირებული საზოგადოება

გამოწვევები და შედეგები

- მაქსიმალური სიზუსტით დაგეგმილი პროექტი
- ტრენინგების მთელი პერიოდის მანძილზე, აქტიურად შუქდებოდა ტრენინგების მიმდინარეობა სოციალური ქსელის მეშვეობით (<https://www.facebook.com/infosociety2016/>). ყოველდღიურად თავსდებოდა ფოტოსურათები და ვიდეოები, რაც კიდევ უფრო წამახალისებელს ხდიდა მონაწილეთა ჩართულობას.



ინფორმირებული საზოგადოება

პატივისცემით
ააიპ „ინფორმირებული საზოგადოების“
დირექტორი
რატი გოგატიშვილი